საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 15-9/5345
02/06/2023

5345-15-9-2-202306021406

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ბატონ რატი ბრეგაძეს

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

მსჯავრდებულ [redacted] უფლებების სავარაუდო დარღვევის ფაქტზე დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო რატი,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, წლების განმავლობაში საუბრობს პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიმოწერის უფლების რეალიზების პრობლემაზე. აპარატმა არაერთხელ გამოავლინა ინდივიდუალურ შემთხვევებში კორესპონდენციის გაგზავნის უფლებისა და მიმოწერის კონფიდენციალურობის დარღვევის ფაქტები.[1]

წინამდებარე წინადადებაში მიმოხილულია კიდევ ერთი საქმე, სადაც მსჯავრდებულის მიმოწერის უფლების დარღვევის მორიგი ფაქტი გამოიკვეთა.

სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა მსჯავრდებულ [redacted] განცხადება და სპეციალური პენიტენციური სამსახურის უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს მიერ

[1] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2020, 157.
საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021, 129.
საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2020 წლის ანგარიში, 2021, 59.
საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2021 წლის ანგარიში, 2022, 108.

საქართველო, თბილისი 0102, დავით აღმაშენებლის გამზირი N80,
ცხელი ხაზი: 1481 (24/7); www.ombudsman.ge; ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge
80 David Agmashenebeli Avenue, Tbilisi 0102, Georgia,
Hotline: 1481 (24/7); www.ombudsman.ge; E-mail: info@ombudsman.ge

დაარქივებული ვიდეოჩანაწერები.[2] საქმის მასალების შესწავლით გამოიკვეთა, რომ [redacted] პენიტენციური დაწესებულებამ სახალხო დამცველის აპარატში არ გამოაგზავნა მსჯავრდებულ [redacted] ყველა განცხადება, რითაც დაარღვია მისი უფლებები.[3]

ფაქტობრივი გარემოებები

ა) ვიდეო ჩანაწერის დაარქივების საჭიროება

2023 წლის 12 იანვარს სახალხო დამცველის რწმუნებული შეხვდა [redacted] პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს, [redacted] რომელმაც განაცხადა, რომ 2022 წლის 20 დეკემბერს სახალხო დამცველის აპარატში გამოგზავნა ექვს ფურცელზე დაწერილი განცხადება და დაინტერესდა განხორციელებული რეაგირების თაობაზე,[4] თუმცა სახალხო დამცველის აპარატში მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, აპარატში აღნიშნული თარიღით შემოვიდა [redacted] მხოლოდ ერთფურცლიანი განცხადება, ხოლო სხვა რაიმე დოკუმენტი მითითებული თარიღით არ მოიძებნა.[5]

ამასთან, 2023 წლის 21 თებერვალს სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა ინფორმაცია [redacted] პენიტენციური დაწესებულებიდან მსჯავრდებულ [redacted] მიერ კორესპონდენციების გაგზავნის თაობაზე.[6] მიღებული პასუხის მიხედვით, 2022 წლის 20-21 დეკემბერს მსჯავრდებულ [redacted] რომელიმე სხვა უწყებაში წერილი არ გაუგზავნია.[7]

ამრიგად, 2023 წლის 16 თებერვალს, სახალხო დამცველის რწმუნებულის მიერ დათვალიერდა მოცემულ საქმეზე დაარქივებული ვიდეოჩანაწერი:[8]

- [redacted] პენიტენციური დაწესებულების [redacted] საკნის ორი ვიდეო კამერის ჩანაწერი 2022 წლის 20 დეკემბრის 10:00 საათიდან 12:30 საათამდე;
- [redacted] პენიტენციური დაწესებულების [redacted] საკნის მიმდებარე დერეფანში განთავსებული ვიდეო კამერების ჩანაწერები 2022 წლის 20 დეკემბრის 10:00 საათიდან 12:30 საათამდე.

---

[2] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს 2023 წლის 20 იანვრის N14852/01 წერილში მითითებული დაარქივებული საქმის მასალები.

[3] „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი: მოსამსახურის დისციპლინური გადაცდომაა სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება.

„საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა დისციპლინური წესდებისა და ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის N144 ბრძანების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი: მოსამსახურის დისციპლინური გადაცდომის სახეა სამსახურებრივი მოვალეობის ბრალეულად შეუსრულებლობა ან არეჯეროვნად შესრულება.

[4] სახალხო დამცველის რწმუნებულის მიერ [redacted] პენიტენციურ დაწესებულებაში 2023 წლის 12 იანვარს შედგენილი ოქმი.

[5] სახალხო დამცველის აპარატში შემოსული N14450/22 საქმე.

[6] სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 21 თებერვლის N15-9/1847 წერილი.

[7] [redacted] პენიტენციური დაწესებულების 2023 წლის 27 თებერვლის N53947/23 წერილი.

[8] სახალხო დამცველის რწმუნებულის 2023 წლის 16 თებერვლის ვიდეო დათვალიერების N1501-23 ოქმი.

ბ) ვიდეო ჩანაწერების დათვალიერების შედეგები

ჩანაწერის დათვალიერების მიხედვით გამოიკვეთა, რომ 2022 წლის 20 დეკემბერს 10:00 საათიდან მსჯავრდებული [redacted] წერს წერილებს თაბახის ფურცლებზე. 10:15 საათზე ტარდება საკნის შემოწმება და შემოწმების დასრულების შემდეგ, მსჯავრდებული კვლავ აგრძელებს წერას, ხოლო 10:32 საათიდან იწყებს წერილების მოთავსებას კონვერტში დემონსტრაციულად, კერძოდ, დგება ფეხზე და მიდის ვიდეოკამერასთან ახლოს, შემდეგ თითოეული ფურცლის კონვერტში ჩადებას აჩვენებს ვიდეოკამერას, რის შემდეგაც დალუქავს კონვერტს, გაუკეთებს მინაწერს და 10:37 საათზე დებს მაგიდაზე განცალკევებულად, იმგვარად, რომ დარჩეს ვიდეოკამერების თვალთახედვის არეში.

აღნიშნული მოქმედების შემდეგ, მსჯავრდებული სცილდება მაგიდას და მაგიდაზე დადებულ კონვერტს (ამგვარად, კონვერტი მუდმივი თვალთახედვის არეშია ვიდეოკამერებისთვის) და მას აღარ ეხება 12:11 საათამდე, იმ დრომდე, სანამ მის საკანთან არ მოდის სოციალური განყოფილების თანამშრომელი, რომელსაც გადასცემს აღნიშნულ კონვერტს.

12:11 საათზე, სოციალური განყოფილების თანამშრომელმა მსჯავრდებულ [redacted] გამოართვა კონვერტი, რომელშიც იდო ექვსი ფურცელი, რის შემდეგაც დატოვა [redacted] საკნის მიმდებარე ტერიტორია.

შესაბამისად, ვიდეოჩანაწერის დათვალიერების შედეგად გამოჩნდა, რომ 2022 წლის 20 დეკემბერს მსჯავრდებულმა კონვერტში ჩადო ექვსი ფურცელი, რაც გადასცა სოციალური განყოფილების თანამშრომელს, ხოლო 2022 წლის 22 დეკემბერს სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა მსჯავრდებულის მიერ გამოგზავნილი კონვერტი, რომელშიც იდო 2022 წლის 20 დეკემბრით დათარიღებული მხოლოდ ერთფურცლიანი განცხადება.

სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ადამიანის პირადი სივრცე და კომუნიკაცია ხელშეუხებელია და მას იცავს სახელმწიფო.[9] ადამიანის პირადი ცხოვრება ფართო კონცეფციაა და შედგება არაერთი უფლებრივი კომპონენტისგან, მათ შორის, ჰქონდეს გარე სამყაროსთან კომუნიკაცია, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე ინფორმაციის გაცვლისა და გაზიარების უფლება.[10]

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მიხედვით, ყველას აქვს უფლება, რომ დაცული იყოს მისი პირადი მიმოწერა.[11] კონვენციით დაცულია ადამიანის პირადი ცხოვრების უფლება, რათა სახელმწიფოს მხრიდან უკანონო ქმედებისგან დაიცვას ინდივიდი, რაც ლიტერატურაში განმარტებულია, როგორც

---

[9] საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 15.

[10] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის N2/3/406,408 განჩინება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", პუნქ. 15.

[11] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, მუხ. 8, პუნ. 1.

სახელმწიფოს მხრიდან პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულება. ეს კი სახელმწიფოს ავალდებულებს, არა მარტო არ ჩაერიოს პირის პირად ცხოვრებაში, არამედ, შექმნას სათანადო პირობები კონვენციით დაცული პირადი ცხოვრების ფართო დიაპაზონის პატივისცემის მიზნით. რასაკვირველია, აღნიშნული უფლება აბსოლუტური ხასიათის არ არის და უფლებაში ჩარევა დასაშვებია წინაპირობების დაცვით, კერძოდ, ჩარევა უნდა იყოს კანონით გაწერილი, ემსახურებოდეს უფლებაში ჩარევის ლეგიტიმურ მიზანს და აკმაყოფილებდეს აუცილებლობის კრიტერიუმს.[12]

ევროპის საბჭოს ევროპული ციხის წესების მიხედვით, პატიმრებს უფლება აქვთ მუდმივი კონტაქტი ჰქონდეთ სახელმწიფო უწყებებთან.[13]

ევროპის საბჭოს ევროპული ციხის წესების მიხედვით, ციხეებში მუდმივად უნდა ტარდებოდეს მონიტორინგი და ინსპექცია სახელმწიფო ორგანოების მიერ, რათა შეფასდეს ციხის მართვა და ადმინისტრირება საერთაშორისო სტანდარტებისა და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.[14]

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად,[15] სახალხო დამცველის აპარატი ზედამხედველობას უწევს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. ხოლო პენიტენციურ დაწესებულებას ეკრძალება შეაჩეროს ან/და შეამოწმოს ბრალდებულის/მსჯავრდებულის კორესპონდენცია, რომლის ადრესატიც სახალხო დამცველია.[16]

პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულ პატიმრებს აქვთ საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით აღიარებული უფლებების დაცვის გარანტია.[17]

საქართველოს პატიმრობის კოდექსით უზრუნველყოფილია ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა მიმოწერის უფლება, კერძოდ, მსჯავრდებულს უფლება აქვს შეუზღუდავი რაოდენობით გაგზავნოს და მიიღოს წერილები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.[18] ზოგადი წესით, მსჯავრდებულის წერილი ექვემდებარება შემოწმებას, რომელიც მოიცავს მხოლოდ ვიზუალურ დათვალიერებას შინაარსის გაცნობის გარეშე. მხოლოდ საგამონაკლისო წესით, როდესაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ შესაძლოა ინფორმაციის გავრცელებამ საფრთხე შეუქმნას

---

[12] იქვე, პუნ. 2.

[13] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2006 წლის 11 იანვარს მინისტრთა მოადგილეების 952-ე შეხვედრაზე). პირველი ნაწილი, პუნქტი 24. გადახედილია მინისტრთა კომიტეტის მიერ და ცვლილებები შეტანილია 2020 წლის 1 ივლისს; ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectId=09000016809ee581> [ნანახია 04.04.2023]

[14] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის (2006)2 რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპული ციხის წესებთან დაკავშირებით, ნაწ. 6, პუნქტ. 92. (ცვლილებები შეტანილია 2020 წლის 1 ივლისს) ხელმისაწვდომია ბმულზე: < https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectId=09000016809ee581 > [ნანახია 04.04.2023]

[15] „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი, მუხ. 12.

[16] პატიმრობის კოდექსი, მუხ.16.

[17] პატიმრობის კოდექსი, თავი III - „მსჯავრდებულისა და ბრალდებულის სამართლებრივი მდგომარეობა."

[18] პატიმრობის კოდექსი, მუხ. 16, ნაწ. 1.

საზოგადოებრივ წესრიგს, უსაფრთხოებას ან სხვა პირთა უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც უკიდურესი ზომა, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს დაწესებულების თანამშრომლის მიერ კორესპონდენციის შინაარსის გაცნობა და საჭიროების შემთხვევაში შეზღუდოს მისი ადრესატისთვის გადაგზავნა. კანონი, ასევე, ითვალისწინებს უფლების სუბიექტის ინფორმირებულობას, ანუ თუკი აღნიშნული პროცედურის დაცვით კორესპონდენცია არ გაიგზავნა ადრესატთან, აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს კორესპონდენციის გამგზავნს.[19]

თუმცა, საგულისხმოა, რომ კანონმდებლობა განსაზღვრავს იმ სახელმწიფო უწყებებს, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებთან მიმოწერის შეზღუდვა ან/და შემოწმება დაუშვებელია, კერძოდ, პენიტენციურ დაწესებულებას ეკრძალება, შეაჩეროს ან/და შეამოწმოს ბრალდებულის/მსჯავრდებულის კორესპონდენცია, რომლის ადრესატი ან ადრესანტი არის საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს პარლამენტის წევრი, სასამართლო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველოს სამინისტრო, სამსახური, <u>საქართველოს სახალხო დამცველი,</u> ადვოკატი, პროკურორი, სამსახურის ადგილობრივი საბჭო.[20]

[redacted] პენიტენციური დაწესებულების დებულების მიხედვით, ბრალდებული/მსჯავრდებული გასაგზავნ კორესპონდენციას, გარდა საჩივრის ყუთის საშუალებით გასაგზავნისა, გადასცემს დაწესებულების სოციალურ განყოფილებას, რომელიც უზრუნველყოფს კორესპონდენციის დაწესებულების ადმინისტრაციული განყოფილებისთვის მიწოდებას. დაწესებულების ადმინისტრაციული განყოფილება უზრუნველყოფს წერილობითი ხასიათის განცხადებებისა და მოთხოვნების რეგისტრაციას და არაუგვიანეს მომდევნო დღისა უგზავნის/აცნობს შესაბამის ადრესატს.[21]

ამრიგად, ვინაიდან მსჯავრდებულთა მიმოწერა პირადი ცხოვრების უფლებით დაცულ სფეროში ხვდება, სახელმწიფომ უნდა შეასრულოს როგორც ნეგატიური, ასევე პოზიტიური ვალდებულება. კერძოდ, ერთი მხრივ, სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს და პატივი უნდა სცეს ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირად სივრცეს, მათ შორის მიმოწერის უფლებას და არ შეზღუდოს მსჯავრდებულის მიერ კორესპონდენციის მიღება/გაგზავნა, თუკი არ არსებობს კანონით გათვალისწინებული გარემოებები, მეორე მხრივ, პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციას ეკისრება ვალდებულება უზრუნველყოს მსჯავრდებულის კორესპონდენციის გაგზავნა მითითებულ ადრესატთან.

აღნიშნული დებულება, რასაკვირველია, ასევე ითვალისწინებს კორესპონდენციის შემოწმებისა და საჭიროების შემთხვევაში შეჩერების შესაძლებლობას, თუმცა **პენიტენციური დაწესებულების დებულებით იგივე პრინციპი ვრცელდება და იკრძალება**

---

[19] იქვე, ნაწ. 4.

[20] იქვე, ნაწ. 6.

[21] „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს [redacted] პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის [redacted] წლის [redacted] ბრძანება, მუხ. [redacted]

ნებისმიერი შინაარსის კორესპონდენციის შემოწმება/შეზღუდვა, თუკი ადრესატი/ადრესანტი ზემოაღნიშნული უწყებები არიან (მათ შორის, საქართველოს სახალხო დამცველი).

წინამდებარე საქმის ანალიზი

ამდენად, მსჯავრდებულ [redacted] პრეტენზიის გადამოწმებისა და გამოთხოვილი ინფორმაციის, მათ შორის, დაარქივებული ვიდეომასალის დათვალიერებით/გაანალიზებით დგინდება, რომ მსჯავრდებულის მიმოწერის უფლება დაირღვა.

კერძოდ, ვიდეომასალის შესწავლის შედეგად, უტყუარად დასტურდება, რომ 2022 წლის 20 დეკემბერს [redacted] დაწესებულების სოციალური განყოფილების მოსამსახურეს მიაწოდა კონვერტში მოთავსებული 6 ცალი თაბახის ფურცელი, რომელთა დემონსტრირებაც, სოციალური განყოფილების თანამშრომლისთვის გადაცემამდე ვიდეოკამერების მხედველობის არეალში მოახდინა, რითიც სცადა მისი მიმოწერის უფლების შესაძლო დარღვევის პრევენცია. აღნიშნულის მიუხედავად, დაწესებულებამ ხსენებული კორესპონდენცია ადრესატს - სახალხო დამცველს, სრულად არ გაუგზავნა.

ვიდეომასალიდან ნათლად იკვეთება, რომ სოციალური განყოფილების მოსამსახურემ ჩაიბარა და წაიღო მსჯავრდებულის მიერ მიწოდებული კორესპონდენცია, რის შედეგადაც, კანონმდებლობის თანახმად, კორესპონდენცია სრულყოფილი სახით უნდა გაგზავნილიყო შესაბამის ადრესატთან და არ არსებობდა მისი შეჩერების ან შემოწმების შესაძლებლობაც კი, რადგან ადრესატი სახალხო დამცველი იყო. დაწესებულებამ კი, აღნიშნული ვალდებულება დაარღვია, კერძოდ, ნაცვლად 6 ფურცლისა, მხოლოდ ერთფურცლიანი განცხადება გაგზავნა სახალხო დამცველის აპარატში.

საყურადღებო და საგანგაშოა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა კორესპონდენციის სახალხო დამცველის აპარატში ან სხვა საჯარო უწყებაში გაგზავნის ვალდებულების დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების ფაქტები, ვინაიდან, პატიმარი სახელმწიფოს ეფექტიანი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება და მას დაუბრკოლებლად უნდა მიუწვდებოდეს ხელი მისი უფლებების დარღვევის ფაქტების შესახებ სახელმწიფო უწყებების ინფორმირების მიზნით კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა ინსტრუმენტზე, მათ შორის, საჩივრის/განცხადების დაუბრკოლებლად გაგზავნის უფლებაზე. მით უმეტეს, როდესაც ბრალდებული/მსჯავრდებული კორესპონდენციას გზავნის სახალხო დამცველის აპარატში, რომელიც უფლებამოსილია სათანადო რეაგირება მოახდინოს მისი უფლების შესაძლო დარღვევის ფაქტზე.

წინამდებარე საქმე, სამწუხაროდ, კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა იმ პრობლემისა, რომელზეც სახალხო დამცველის აპარატი წლებია საუბრობს სახალხო დამცველის წლიურ და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის ანგარიშებში.

დასკვნა

ამდენად, [redacted] პენიტენციური დაწესებულების პასუხისმგებელი თანამშრომლისა და ადმინისტრაციის მხრიდან გამოვლენილი დამოკიდებულება ვერ შეუწყობს ხელს პენიტენციურ სისტემაში ადამიანის უფლებების ეფექტიან დაცვასა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიმართ საზოგადოებაში ნდობის განმტკიცებას. აღნიშნული ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში ხშირად ირღვევა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიმოწერის უფლება.

მსჯავრდებულის მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და დათვალიერებული ვიდეოკამერების ჩანაწერების მიხედვით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 2022 წლის 20 დეკემბერს [redacted] სოციალური განყოფილების თანამშრომელს გადასცა კონვერტი, რომელშიც იდო ექვს თაბახის ფურცელზე დაწერილი განცხადება, ხოლო სახალხო დამცველის აპარატში შემოსულია კონვერტი, რომელშიც იდო მხოლოდ ერთ ფურცელზე შედგენილი განცხადება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოგმართავთ წინადადებით, შესწავლილი დოკუმენტური მასალის საფუძველზე, დაიწყოთ დისციპლინური სამართალწარმოება მსჯავრდებულ [redacted] მიმოწერის უფლების დარღვევის ფაქტზე, დაადგინოთ ვისი ბრალეულობით მოხდა პატიმრის მიმოწერის უფლების დარღვევა და მიიღოთ კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება ყველა პასუხისმგებელი პირის მიმართ.

ამავე საქმისწარმოების ფარგლებში, გთხოვთ, გამოიკვლიოთ ის გარემოებაც, [redacted] კორესპონდენციის კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრაციასა და სრულყოფილად გაგზავნაზე უშუალოდ პასუხიმგებელი პირების მხრიდან დაკისრებული მოვალეობის არაჯეროვნად შესრულება იყო თუ არა ჩადენილი ხელმძღვანელი პირების მხრიდან შესაძლო უკანონო დავალების მიცემის შედეგად.

მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, გთხოვთ, მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

ლევან იოსელიანი

სახალხო დამცველი